№ 16 —1915. მიილება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 19 აპრილი



ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე—სპ. მცირიშვილი
მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი.—მეფის მოადგილემ ნება დართო, კავკასიაში იცხოვროს.

ოანამედროვე ომის ერთი სურათთაგანი
(იხ. ამავე ნომერში გვ. 7)

ისიდორე რამიშვილი
პირველ სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი, დასჯილი. მეფის მოადგილემ ნება დართო თბილისის გუბერნიაში იცხოვროს.

ახალახან გაიხსნა

ᲐᲕᲗᲘᲐᲥᲘ

ᲞᲠᲝᲤᲘᲖᲝᲠᲘᲡ Ა. Ს. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე), (5—4)

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სამშაბათს, 21 აპრილს, თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ᲜᲐᲞᲐᲚᲔᲝᲜ ᲓᲐ ᲣᲝᲖᲔᲤᲘᲜᲐ

პიესა 4 მოქ. ბარისა

მონაწილეობს მთელი დასი.

ᲓᲒ. ფასი 1 მ. 20 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი სად. $7^1/_2$ საათზე.

რეჟ. მ. ᲥᲝᲠᲔᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

დღეს, 19 აპრ. დრამატიულ სახ. კამ-ის თანასწორობით წაიკითხავენ ი. მწედლიშვილის ბიბლიურ ოქმულებას

ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲡᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ-Ს

გაიმართება ᲙᲐᲛᲐᲗᲘ. დასაწყისი 12 ს.

დღეს ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ გაიმართება

მ. ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲐ

დასაწყისი დილის 12 საათზე

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დღეს ნ. გოცირიძის და გ. იორდანიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ᲠᲐᲪᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ—ᲕᲔᲚᲐᲠᲜᲐᲮᲐᲕ

დასაწყისი სადამოს $7^1/_2$ ს.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დღეს ს. სვიმონიძის საბენეფისოდ წარმ. იქნება

ᲙᲐᲘ ᲒᲠᲐᲙᲮᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲛᲘᲘᲚᲔᲒᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1915 Წ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ, ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 მ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ 3 მან.

"ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ"-ᲖᲔ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠ ᲯᲒᲣᲤᲠ-ᲓᲐᲡᲣᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲙᲐᲖᲛᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲗᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲡ. **ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲔ�პᲔᲠᲢᲣᲐᲠᲝ ᲞᲘᲔᲡᲐ.**

ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲗ **5** მან., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ **3** მან., ᲗᲘᲗᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ **10** ᲙᲐ�პ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ: ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ **2** მ., ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ **2** მ., ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ 1 მ. ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1.

ᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ („ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“-Ს ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ) ᲓᲘᲚᲘᲗ 9—2 Ს., ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 Ს., ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐ **„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓ“**-ᲨᲘ, **„ᲪᲝᲓᲜᲐᲡ“** ᲬᲘᲒᲜᲗᲡᲐᲪᲐᲕᲨᲝᲨᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ — **ᲐᲚ. ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ᲔᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ**

ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 1 ᲒᲕ. ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘᲗ, **2**, ᲒᲕ. ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲞᲬᲙᲐᲠᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲕᲔᲢᲖᲔ 25 Კ. 3-ᲖᲔ—20 Კ., 4-ᲖᲔ—15 Კ. ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲘᲝᲡ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ.

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ **ᲐᲜᲜᲐ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**

№ 16

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

წლიურად 5 მ., ხაბევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 16 ᲙᲕᲘᲠᲐ 19 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1915 Წ.

19 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

მოზარდებმა რალა დააშავეს?!

ქართული თეატრის ასპარეზი რომ დღითი-დღე ფართოვდება, ეს უკვე ცხადია.

ხალხი დიდის ხალისით ესწრება წარმოდგენებს... სამწუხაროდ სრულიად უყურადღებოდ ჩრის მიტოვებული მოზარდი თაობა: არც საბავშვო წარმოდგენა, არც სალიტერატურო დილა, არც კონცერტი...

შარშან თუ შარშანწინ საბავშვო დილები გაიმართა; უნდა გენახათ ბავშვების აღტაცება, გამოცოცხლება და მაშინვე იტყოდით, რომ თუ წარმოდგენა-კონცერტია საჭირო, უმთავრესად ბავშვებისათვისო...

საჭიროა თეატრის მესვეურებმა, საყმაწვილო ჟურნალების რედაქციებმა და დრამატურგებმაც (პიესების დაწერვით) ამ გარემოებას ყურადღება მიაქცინონ, ბავშვთა სულიერ დაკმაყოფილებაზედაც იზრუნონ...

გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ სულიერ საზრდოს მოწყურებული ბავშვები როგორ უაზროდ ჰკარგავენ დროს, ან კარჩაკეტილნი არიან, ანუ ისეთ წარმოდგენებზე დაიარებიან, რაც მათ არ შეეფერება!..

ეს ნაკლი უნდა შეივსოს...

— —

ᲭᲘᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ.

მგლის თავზე სახარებას კითხულობდენ, ის-კი—დამაცა მთაზე ცხვარი გადადისო...

ქვეყანას სისხლისა და გახრწნილ ლეშის ოშხივარი ასდის, სახელმწიფონი სახელმწიფოთა ჩასანთქმელად არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, საკუთრივ ჩვენი სამშობლო, კოზაკისა არ იყოს, ლამის შუაში გამოიჭყლიტოს და ჩვენს ზოგიერთ მესვეურთ-კი—ქვა შეუგდიათ, თავი შეუშვერიათ – და, თუ ჩვენი სიტყვა არ გაიმარჯვებს, ქვა ქვაზედ ნუმც ყოფილაო...

აზრთა სხვადასხვაობა, საზოგადოებრივი გარკვევა, თქმა არ უნდა, სასურველია—უამისოდ ხომ არც თვითაზროვნება შეგვეძლებოდა და ერთ ადგილს გავიყინებოდით,—მაგრამ ერის ცხოვრებაში ხშირად ისეთი წუთები სდგება ხოლმე, როდესაც ყოველი წრის, ჯგუფის თუ კერძო პიროვნების „მე“, საკუთარი გულისთქმა უკანა რიგზე უნდა ჩამოდგეს და მთელი ყურადღება, გულისყური სამშობლო ქვეყნის სვებედის მოწყობას მიექცეს...

ბევრი ისეთი სიტყვა, რაც ათიოდე წლის წინად გამოდგებოდა, ახლა აღარ ივარგებს, ბევრი ისეთი ჯგუფური ეინიანობა, რომელიც ერთს მეორისაგან გვთიშავდა, დღეს აღარ გამოდგება: ურთი-ერთის გაკილვა, „დასამარება“, პირადი ეინით მოწინააღმდეგე მხრის ფეხქვეშ გაქელვა, ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას არ მოუხდება...

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მოწყობა, გლეხთა სულიერ-ქონებრივი დაწინაურება, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, მიწა წყლის გონიერი გადამუშავება,

მიწა-წყლის სიმცირით შეიწროებულ იმერთა ამერეთში გადმობინავება, დაბოლოს—აჭარელთა ყოფა-მდგომარეობის მოწყობა, მათი ნივთიერი დახმარება, ქართული თეატრის აგება, დაბა-სოფლად სახალხო თეატრის, ბიბლიოთეკა-სამ-

კითხველოების და სხ მოწყობა ისეთი მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეა, რომ ყველამ, მიმართულებისა და რწმენის განურჩევლად, როგორც წინადაც გვითქვამს, ამ დარგში ერთად უნდა ვიმუშაოთ...

ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, დემოკრატია ძლიერდება, ხალხი ძილისაგან ერკვევა და ქვეყანას ისლა ენატრება, ამ ხალხის მესვეურად თავგამოდებულთ, ე. ი. იმათ, რომელნიც საზოგადოებრივ აზრსა და საქმიანობას ჰქმნიან, ახლა მაინც გაითვალისწინონ, რომ ჩვენი ქვეყანა დღევანდელ მძიმე პირობათ მხოლოდ მათი ურთიერთის შეთანხმებით, ერთმანეთის დახმარებით დაახწევს თავს...

დაე, თავთავისი რწმენა გვქონდეს, მაგრამ ჟამსა ქვეყნის გაჭირვებისასა ერთად უნდა ვმოქმედებდეთ, ზურგითზურგს მიყუდებულნი...

* * *

ის მხარე, სადაც ვიტანჯებოდი,
სამშობლოვ, შენგან დაშორებული,
შენი შვილების სისხლით ირწყვება,
კვლავ ბრძოლის ველად გადაქცეული.

——

და ვ ნ უწყს ახლა სად არი, სადა,
იმავ შვილების კუბო-სამარე?...
შენ გეკითხები, ჩემო სამშობლოვ,
თუ იცი, ბედკრულს, მითხარი რამე!..

ქნარი

მხერხავი

მუყაითი მუშა კაცი იყო გიო. .

თუმცა შრომის ფასს იმდენს არას აძლევდნენ, მაგრამ ის მაინც თავ-დაუზოგავად მუშაობდა ..

დილიდან დაწყებული სადილობამდე და სადილობიდან შეღამებამდე ისე ხალისიანად გაჰქონდა და გამოჰქონდა ტივის ხის გულში შეჭრილი ხერხი, რომ წუთითაც არ შეისვენებდა, შუბლიდან მოწურწურე მადლიან ოფლსაც ჯი არ მოიწმენდდა...

——

— ქა, დღეს რა ადრე აგიღია ხელი სამუშაოზე — უთხრა გაკვირვებულმა ცოლმა გიოს, როცა ის ჩვეულებრივ დროზე უფრო ადრე მივიდა სახლში.

— ადრე კი არა, რაღაც შეუძლოთა ვარ, დედაკაცო.

— უიმეე!.. რა დაგემართა ქა!

— ნუ გეშინიან საიმისო არაფერია. ეს არი მუშაობას მოვცდი, თორემ ისე რა მიჭირს.

— მაინც, რა გტკივა, არ იტყვი, კაცო.

— რა ვიცი ეოხერი ჩემს სიცოცხლეში თითის ფრჩხილიც კი არ წამომტკივნია და დღეს კი რაღაც ეშმაკად, როცა სადილობა გავათავე, ოფლში გაწუწულ პერანგის ამარა მივწექი ფიცრებზე და მტკვრის ცივი ნიავით ნასიამოვნებს ტკბილად ჩამძინებოდა... გამოღვიძება და მთელი სხეულის გათანგვა ერთი იყო. თავს ძალა დავატანე, იქნება როგორმე მუშაობაში გამოვიშუშო მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე..

— უი, დამიდგეს თვალი, ქა! რაღა წყალში ჩავვარდე!

— გეუბნები, არაფერია მეთქი. გაივლის. შენ ერთი ლოგინი დამიგე და მეტი არა მინდა რა.

— ეჰ, ღმერთო! რაღა ეს გვინდოდა, შენი მადლის ჭირიმე — მწარედ ამოიხვნეშა მართამ და წალოდან საჩქაროდ ამოყარა ლოგინი.

——

გამოკეთების მაგივრად, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესად ხდებოდა გიო... სიცხისაგან ცეცხლი ეკიდებოდა... ჰბორგავდა, მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში...

რამდენჯერ არ ეხვეწა მართა, ექიმს მოგიყვან, წამალს მოგცემს და კარგად გახდებიო, მაგრამ არ იქნა და არ გაიგონა...

——

დაატყო თუ არა მართამ, რომ საქმე მართლა ცუდათ იყო, ქმრის დაუკითხავად მაშინათვე ექიმისაკენ გაქანდა. .

——

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ექიმის ეტლი ავადმყოფის სახლთან გაჩერდა

— უჰ! ეს რა ბუღი დგა!—ოთახში შესვლისთანავე წამოიძახა ექიმმა: აბანოა თუ რა არის! გამოაღეთ ოდნავ ფანჯარა!

ექიმი მივიდა ავადმყოფთან. გადაჰხადა ერთი საბანი. მეორე, მესამე და... შეჰკივლა მართას: ეს რა გიქნიათ, ჰა?!.

— რა იყო, ბატონო!

— რა და ისა, რომ კაცს ანთება თავში სცემია და თქვენ კიდევ ამდენი საბნები დაგიყრიათ ზედ!..

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, გაციებული გახლდათ და იქნება ოფლი იდინოს მეთქი...

— ოფლი! ოფლი! – გაჯავრებით იმეორებდა ექიმი და თავს იქნევდა. – აართვით ეს ორი საბანი! ერთიც ეყოფა!

— ეხლავე, შენი ჭირიმე...

— რატომ აქამდის არ შემატყობინეთ!

— რა ვქნა, გენაცვალე, არ მინდა, ისეც მოვრჩებიო და..

— ხო და ახლა თქვენვე მოარჩინეთ?

კაცს ვიდრე სიკვდილის პირზე არ მიიყვანთ, თავს არ მოიფხანთ!

— ექიმო! ექიმო!..

— გვიანდაა!—გულში ჩაილაპარაკა ექიმმა, საწერ-კალამი მოითხოვა, გამოუწერა რაღაც წამალი და წავიდა...

—

რა ღონისძიება არ მიიღო, რა წამლები არ მიაღებინა საცოდავმა მართამ შეწუხებულ გიოს, მაგრამ მაინც ვეღარაფრით ვეღარ გამოაბრუნა სიცოხლისაკენ...

ავადმყოფს ენა ჩაუვარდა, ცნება დაეკარგა, გაბმული კვნესა სიკვდილის მომასწავებელ ხრიალად გადაექცა...

ღამის ხუთ საათზე მკერდის უკანასკნელ ამონაქშენს თან ამოჰყვა ტანჯული სული ტანჯული მუშისა...



მიხეილ ლელაშვილი
სახალხო სტენისმოყვარე, მოლუქსე (სწერდა „ჯეჯილში“ და სხ.) უკანასკნელად ეკუთ. „სესხს“ რედაქტორობდა. ამ ჟამად ძალზე დაავადმყოფებულია და მოთავსებულია მიხეიდის სანატორიუმში

მხატვარი ვანო

I

ვანო მხატვარი იყო. სიცოცხლით სავსე. ახალგაზდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდენ.

სასწავლებელი რომ დაამთავრა, იგი უცხოეთს გაემგზავრა, რათა საუკეთესო მხატვართა ნაწარმოებთ გასცნობოდა... მაგრამ მშობლიური მთა-ველი, რომელიც დიდი ხანია არ ენახა, თვისკენ იწვევდა, და როცა ნაცნობი მთები წარმოუდგებოდა, ან მოელანდებოდა ტკბილი რაკრაკი ნაკადულთა, ჩხრიალი ჩანჩქერთა—ჟრუანტელი აიტანდა, ყურში ჩაესმოდა ხმები მოწოდებისა და ვანოს სამშობლოსკენ იწვევდა.

რაღაც დაფარული შემოქმედება ვანოს გულს სწვამდა... დაგავდა მის არსებას და სიცხიანივით იგი ერთი მუზეუმიდან მეორეში დარბოდა, მხოლოდ წამით შეჩერდებოდა ხოლმე გამოჩენილ მხატვართა ფრესკების წინაშე და ცეცხლივით აინთებოდა, რაღაც გაიტაცებდა... ტირილით გარეთ მორბოდა.

ვანომ ასეთ ტანჯვაში რამდენიმე ხანი საზღვარგარეთ დაჰყო და სიხარულით აღტაცებულმა ბოლოს სამშობლოს მოაშურა.

მშობლიურ მიწაზე ფეხი შემოსდგა. ბუმბერაზ მთებს თვალი მოავლო, მოისმინა შხუილი გიჟ მდინარეთა და ვანო უფრო აენთო... შემოქმედების ტანჯვამ აიტანა იგი. და მან სოფელს მოაშურა, იმ სოფელს, სადაც ის დაიბადა და დიდი, დიდი ხანი იყო არ ენახა სოფელს მოაშურა, რომელიც მისი ნუგეში იყო, რომელიც მას უყვარდა, სადაც გაატარა ტკბილი ბავშობა, სადაც იგრძნო მან საუკეთესო წუთები თვისი სიყრმისა.

გულით მიენდო იგი საყვარელ სოფლის ჰაერს... სიხარულით მის პაწა გორაკებს მოევლო. მიესალმა გიჟმაჟ მდინარეს, რომელიც ამწვანებულ სოფლის შუა მინავარდობდა. ვანო საყვარელ სოფლის მიწაზე ნუკრივით რბოდა, კოცნიდა ყოველივე მცენარეს, თავს ევლებოდა...

დიდი, დიდი იყო მისი სიხარული...

(შემდეგი იქნება)

ნაპეგის ზღვაზე

(მინიატურები)

III მოგონება

ცისფერი ფრთიანი პეპლები ლონემიხდილი დაფენილიყვნენ გზატკეცილზე და სიკვდილით დანასუნთქნი, თრთოლვით, ცახცახით ელოდენ უკანასკნელ წუთს. მდუმარედ აზიდულ ნაძვის მწვერვალ ს, მწერთა გუნდი უკანასკნელად უვლიდა ფერხულს დ შემდეგ ძალმილეული მოცვიოდენ ძირს. მზის მკრთალ სხივებით დასერილ სივრცეში ისმოდა სიკვდილის ქშენა. ნელი სიო ფერმკრთალ ფოთლებით ფარავდა მიწას. სიჩუმით მოცულ ბაღს, რომელშიაც ჩვენ ვისხედით, სიკვდილი ევლებოდა თავს. შენს მგზნებარე მკერდზე კი, ამ დროს იფურჩქნებოდა ორი კუკური და მათ შორის პაწია ოქროს ჯვარი ისე ირხეოდა, ვით ყვავილთ ფოთლებზე მაისის ნამი. სულგანაბული შევყურებდი შენს თვალთა ციმციმსა და უსაზღვრო ვნებით მიძგერდა გული. ამ დროს ჩვენ შორი ახლო გაჩერდა სულის დამწყლულებელი, თითქმის შიშველი აჩრდილი.

— ვინა ხარ, ვინა?

— მაწანწალა! შიმშილისაგან ღონეიხდილი.

შემრცხვა, გავწითლდი, შენს კალთაში ჩავმალე თავი. მთრთოლვარე ხელით ჩამოგლიჯე ოქროს ჯვარი, გადავისროლე მათ. ხოვრისაკენ და მივაძახე:

— წაიღე! წადი!

— რა ჩაიდინე! თავხედო! შმაგო!?

— რამ გაგაფითრა? მაწანწალასაც ხომ უნდა შველა?

წახველ გულციგო! მე დავრჩი მარტო. პირქვე დავემხვე და ავქვითინდი.

მახსოვს ყველა ეს! მახსოვს. მაგრამ რა ვქნა? ჩემ ცხოვრების ცარიელ სილრმეს, ეს მოგონება მაინც ვერ ავსებს.

IV უმანკ ება

რა მომხიბლავი სურათი იშლება თვალწინ, როდესაც უცქერ უმანკო ბავშვთა ბუნების წიაღში თავისუფალ ცქრიალს. ერთად არიან ქალნი და ვაჟნი. ნეტარების სხივი გამოკრთის მათ თვალებში, ნაზი უმანკოლიმილი ისე ისხივოსნებს მათ სახეს, ვით ცისარტყელა წვიმის წვეთებით დასერილ ჰაერის სივრცეს, მაგრამ, აი სიყმაწვილის ხანა მალულად წამოეპარა საბრალოებს, ვნების ტალღები ჩქროლდა მათ გულის სილრმეში, და რომ დაიცონ უმანკოება, მოთამაშეთა ბანაკი ორად გაიყო!

რა ენან!? სიყმაწვილე და უმანკოება ერთად არ სუფევს.

[illegible]

ᲨᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

(შ. არაგვისპირელის შემოქმედება)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 14)

შ. არაგვისპირელის მთელ შემოქმედებაში ნელი ნაბიჯით დასეირნობს შავი კაცი, რომელსაც ხელში ცელი უჭირავს და სპობს ოფოფეფეს, რაც კი ადამიანს გარს შემოჭხლართვია. ეს კი მიტომ სჭირდება, რომ ადამიანის „შიშველი სულია“ იხიდოს, გაიგოს, თუ რა არის ადამიანი, პირიფენება, რიგორია მისი პირველ-ოფიდობა, და რიგორ თანდათანობით იდესება იგი სიზიგანდოების მიერ, რომელიც ბინძურ და აურიდებულ ჭაობს დამსგავსებია. შ. არაგვისპირელის ძიების საგანი პირიფენება, სწორედ აქ იშლება, ისპობა. „ნუ თუ ჩვენი სიზიგანდოება ისე დაშმორებულია, რომ პირიფენების წაშლა მაგრე ადვილად შეუძლიანო?“ („ციციანათელა“) მაგრამ ასე ეფიდა: „აგერ მთელი სოფელი, დიდებულ ხალხით, საშინელ, დაეე კვერცხის სუნს პირში ათრთქლებს გიორგის... კოჭლი, ბრმა, ერუ. მახინჯი სულით, გულით და მთლად სხეულით, გამოჩერჩეტებული თავის ხნოვანებით, ქალი და კაცი ერთმანეთს არ აცდის, ერთმანეთს ეჯიბრება, რომ უფრო მეტად აურიდოს ჭაერი გიორგის დასახრჩობად. მის სოფლიდან გასაძევებლად... რვადენიმე ბირმა ხმა აიმაღლა, რომ გონს მოეყვანა ეს ბრბო, გაეთვალისწინებინა მისთვის საქმის მსვლელობა“.. პირიფენებას ასამართლებენ, თავიანთ გაუგებრობის მიზეზით. „პირიფენებასთან ანგარიშის გასწორება არ ჭსურს არც ერთს“!. და, ისე შელახეს პირიფენება, ისე გაამასხარაყეს, რომ იგი ციციანათელას, ამ უმნიშვნელო მწერსაც კი შეჭნატრის. რატომ? მიტომ, რომ აგერ, ქარიშხლის დროს, „თუმც ეს სასტიკი ქარი საშინელი სიძლიერით ებრძვის, ჭსტლიდობს, თუმც შეუგნებლივ მის პირიფენების წაშლას, იგი მაინც თავისას არ იშლის“, იგი კვლავ ანათებს და ციციანათელა ციციანათელად ჭკვლება, პირიფენება შენახული. ადამიანი?—„დეე სასტიკი გარემოება ხელს უშლიდეს, ეწინააღმდეგოს, პირიფენებამ თავის უკანასკნელ სულის ამოხდამდის მოგვლეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუდრეკელადო“. (იქვე). კი, მაგრამ ეს ხომ სასურველი კატეგორიაა, არსებულისაგან შორს მდგარი? ნამდვილად კი, სიზიგანდოეა, ეს ბრმა სვავი, ერთ წუთსაც არ სდგება, რომ პირიფენება მთლად შთანთქას, თუ კი დასჭირდება უძლები სტომაქის დასაკმაყოფილებლად. „თვით მონა (სიზიგანდოება), უურმოჭრილი მონა ძალიერისა, სცდილობს დაგიმონავოს, გაგანადგურო, სისხლი გაგიშრაო...“ („გულტივობამ“..) „...სიზიგანდოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა, ან კიდევ, თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემლახა“. ასე მოსთქვამს გაბრა, ეტიუდში „გულტივობამ“, რომელმაც ერთად ერთი საგანი, არაგვის მჩქეფარ ტალღებში მოიძებნა

სიზიგანდოეა, ანუ უფრო ფართოდ რომ გავსულიყოთ, მთელი კატობრიობა, შ. არაგვისპირელს ერთგვარ საანალიზოდ ეჩვენება, სადაც არეულია „კოჭლი, ბრმა, ერუ, მახინჯი სულით, გულით, და მთლად სხეულით, გამოჩერჩეტებული თავის ხნოვანობით“(„ციციანათელა“), რომელნიც დაეე კვერცხის სუნს ათრთქლებენ ირგვლივ, სადაც პირიფენების შეურიგებელს სული ეხუოება და ჭგოდებს, შიშით კრემტული. აგერ საანალიზოო. საკატობრიო საანალიზოო, ადამიანებათ რომ არის გაჭედილი, სულ ჩაყვითლებული სახეებია.. ძვლებად ქცეულნი. ელიან... სიკვდილს ელიან... კვნესა, კვნესა და კვნესა გაისმის... სტირის ადამიანი, ჭგოდებს; ელანდება სიკვდილის შავი ჩრდილი... „უნდა მოვკვდე“...—ამბობს ადამიანი. „რისოვის და გავბრნდი, რა ჭქონდა ასრად ჩემ გაჩენაში ბუნებას? ნუ თუ ამისთვის ვცოცხლობდი, რომ გავბრნდი და ვკვდები,—რომ ვცოცხლობდი, ვარსებობდი?!.. ჭმ... მაშ რა ვარ, რა სახელი მეწოდების?—„ადამიანი“... მაგრამ რა არის ადამიანი? „ადამიანი არისს... ადამიანი!.. ადამიანი .. ადამიანი!.. ადამიანი სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოიბოვა-რა“. („ადამიანი“). იტანჯება ადამიანი, ეშინიან ფო-

ველი წუთის, ეშინიან ეველაფერის, და უმთავრესად კი... ადამიანის... „ვინ არის ის?..“ „— ნუ გეშინიან, ადამიანია“.— „ადამიანი!.. წადიდეთ აქედან!.. აგერ როგორ შიტქერის... მეშინიან!..“ ადამიანს ადამიანისა ეშინიან, ადამიანი ადამიანს გაურბის.. თითქოს მარადღდება რომელთა ანდასა: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“.— და თურმე ეოფილა კიდეც მიზეზები. აგერ „გულთა-მხილავი,“ რომლის თვალიც ელვასავით იკლაკნება ადამიანის გულის უფსკრულ ადგილებში და ეოველსავე სიადუმლოს იგებს... თვალ-წინ ეშლება სულ ულრმესი, მისთვის აქამდის დაფარული და უზინარი სახე ადამიანისა... დგთის ტაძარია. დიდი—მტირე, ეველა იქით მიეშურება. „გულთა-მხილავი“ გალავნის კუთხეში სდგას. . უმზერს. ეველა შიგ შედის... ეველა ცბიერი მატეუარა, თვალთმაქცი.. „— ახ, ღმერთო, სადა, სად მოგსძებნო წმინდა გრძნობა, წრფელი და უანგარო“, ‖ კითხულობს ადამიანი წუთით „გულთა-მხილავი“.— „ღმერთო, ნუ თუ შესაძლებელი ეოფილა მაგრე ხელოვნურად თვალები აუხვიოს სასოგადოებას, და დაჭფაროს ადამიანმა ნამდვილი მოძრაობა გულისა“,— განაგრძობს იგივე, და მისული უკიდურ ადშეფოთებამდის, ღმერთს და შესძახის: „უფალო, შეარეე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მეოფთ შემუსრეს ეოველი ადამიანური გრძნობა“... აგერ მისი დედა.. მისი სატრფოც. . „ადი, შეიბრალე წამებული შენი შვილი!. დაიმალე ნუ მოხვალ! წაიევანე ეგეც, ნინოც! ნურც მაგას შემოიეკენ, წადი, წადი“... „გული მაინც დაიმალეთ! არ მინდა თქვენ გულს შეეხედო... თქვენი სიადუმლო გავიგო“. „მინდა ეგ ორი გული მაინც არ ვიცოდე! ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანთან. . მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს. . მაგრამ... დაჩლუნგდი. გეუბნები გონებავ!.. თვალო დაბრმავდი!.. ადამიანის გულწრფელობა მინდა მწამდეს, მინდა!..“ — „გმადლობ უფალო, გმადლობ! . სიხარულის ცრემლის ფრქვევით წამოიჩოქა ლოგინში და მხურვალედ უფალს მადლობა შესწირა, რომ სიზმარი ეოფილა გულთამხილავი და არა ცხადადო“,— დასძენს შემომქმედი, და ამით ერთი ორად აძლიერებს ტრაგიზმს მომენტისას. ადამიანს ეშინიან ადამიანის შიშველი სულის, ადამიანი არჩევს „ნეტარ უცოდინარობას“, რადგან მხოლოდ მის საშუალებით ეოფილა შესაძლებელი ცხოვრება კაცთა შორის. „რა გვარი სასაძაგლე არ არსებულა ადამიანის გულშიო“,— აი რა დასკვნამდის მიდის მწერალი. თურმე ეველა თვალთმაქცობს, ეველა სტრუობს, ეველა ეველას ატეუებს, და ამ საერთო ადიაქოთში — ეველა ცბიერობს. ნამდვილად კი, ეველა თავის თავს ადმერთებს, ეველა საკუთარ „მე“ს დასტრიალებს. სურათი საზარელია.

მეც ვიზიარებ მწერლის გულისწერომას, მაგრამ სხვაგვარად შ. არაგვისშვილს აშფოთებს ის, რომ ეველა თავის თავს ადმერთებს და ნატრობს: „ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავის თავი არ გაედმერთებინოს, და გულწრფელად მოქმედებდესო“. („გმადლობ უფალო, გმადლობ“). სულ სხვა გვარია ჩეში თვალსაზრისი. მე ვწუხვარ არა იმის გამო, რომ ადამიანი თავის თავს ადმერთებს, არამედ რომ ადამიანს ეშინიან რადაც კერპების, რომელნიც თავის თავის გადმერთებას უგრძალვენ, და ამ შიშით შეპყრობილი, სტრუობს, თვალთმაქცობს.. თორემ ადამიანი რომ თავის თავს ადმერთებს, ეს ბუნებრივია და სიბეცე იქნება მის წინააღმდეგ წასვლა. ადამიანის მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ იგი იშვიათად არის ხოლმე ის, რაც არის. მეტ წილად იგი გარდაქმნილი, ანუ შეიარნარის ენით რომ ვსთქვა, „მოჩვენებებით შეპყრობილი“ არსებაა, რომელიც არის არა ის, რაც არის, არამედ ის რაც სასურველ რომ იყოს, რადგან ამას მოითხოვს საზოგადოება, ზნეობა და სხ... საზოგადოებრივი ცხოვრება ისე დამახინჯდა, რომ ადამიანი გადაშენდა, მისი პიროვნება ჩვარად იქმნა ქცეული. „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“ სთქვა ძველად ბრძენმა, (არისტოტელი) და დღევანდელი უსახეო საზოგადოებაც ამას ამაყად იმეორებს, და ისიც ადამიანის პირით. მაგრამ რა არის საზოგადოება? რისთვის არის იგი? რა არის მისი მიზანი -ადამიანი. საზოგადოება-საზოგადოებისთვის—არაფერს ამბობს.

სასოგადოება—პიროვნებისთვის, ადამიანისთვის, რადგან სასოგადოებრივი ცხოვრება ეს ერთი იმ იარაღთაგანია, რომელიც ადამიანის მიერ, თავის სასარგებლოდ არის შექმნილი. და ადამიანი რომ სასოგადო ცხოველია, იგი ამგვარია არა სასოგადოებისთვის, არამედ თავისთვის. „არა – მე“ განუწყვეტლივ წრეს უვლის „მე“-ს გარეშემო. „ყველაფერი ადამიანშია, ყოველივე ადამიანისთვისაა და არსებობს მხოლოდ ადამიანი“. (მ. გორკი) მაგრამ სასოგადოებრივმა ნიადგურმა გადაუარა პიროვნებას, და სახე უცვალა. მსოფლიო სვეი, მახინჯი სასოგადოება პირ-დაღებული თავლებს აბრიალებს, და ყველას სისხლს სწოვს, რომ როგორმე უძღები სტომაქი დაიკმაყოფილოს კერპები კამრავლებულან, ადამიანები კი მათ მსხვერპლად ეწირებიან. და დღეის ადამიანი რომელიმე დანგრეულ სობოროს უფრო დასტირის, ვიდრე მიდიონებით დახოცილ ადამიანებს.. სიშინელებაა. ადამიანი, ეს „ბუნების მეფე“, როგორც ის ხშირად თავის თავს უძახია, თურმე ამასთანავე ისეთი უმნიშვნელო რამეც ყოფილა, რომელიც ისევე ფასობს, როგორც სიპი ქვა, ველურ ადამიანის ხელში, როდესაც მას სჭირდება მის მსგავსის ან ნადირის მოგერება. პიროვნება მთლიანი, რადაც ჯადოსნურ წკეპლის ერთი აქნევით, უსახეო სასოგადოების მონა-მსახურად ქცეულა, და „ადამიან—ირაღის“ ქვეშ ხელს აწერს. სთანხმდება რაზე? თვით კი იცის? მთლიანი-ითქვიფება და მსხვერპლად ეწირება თავის ხელით გათლილ კერპებს. საკუთარ თავის გადაგვარება სულაც არ აწუხებს, თავის ნამოქმედარს კი ცხარე ცრემლით დასტირის. „ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავის თავი არ გაქმერთებინოს და გულ-წრფელად მოქმედებდესო“, ამბობს შ. არაგვისპირელი „გულთამხილავის“ პირით, ე. ი. თავის თავის გადმერთება იგმობა. გულ-წრფელობა კი იმაში გამოიხატება, რომ სასოგადოებას ეხმაურო, და მის მონა ბიჭად გადაიქცე. სწორედ ეს მორალია უწრფელო. ეს ის საცოდავი მოძღვრებაა, ალტრუიზმს რომ ეძახიან და ცალკე გატეგორიად სახავენ. ვერ წარმოუდგენიათ, რომ იგივ ეგოიზმია, მხოლოდ სახე-ცვლილი. ზემოდასკვნა მწერლის კი ასე უნდა შეიცვალოს: „ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავის თავი უშიშრად გაქმერთებინოსო“. ეს უფრო ნამდვილი იქნება. „დე, ეველამ ჯერ თავის თავზე იფიქროს, და ამას აუცილებლად მოჰყვება სხვების ბედნიერებაო“. ამ სიტყვებით გასცა ბასუხი დიდმა ჭეტემ სენსიმონისტებს, და სამართლიანადაც.

ვახტანგ კოტეტიშვილი

თანამედროვე ომიდან

(სურათი იხ. კანის პირველ პირზე)

გერმანია ყოველ დონისძიებასა ხმარობს, ამ შესანიშნავ ომში გაიმარჯვოს: მოსვენებას არავის აძლევს და ზღვა-ხმელეთის გარდა, ზღვის ქვეშა და ჰაერშიაც იბრძვის, მაგრამ არც მას აყენებენ კარგ დღეს და დორსეულ ბასუხით ჭსყლებიან.

ამ ერთი კვირის წინად დეპეშებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ გერმანელთა ტეპელინები (ჰაერში მფრინავი მანქანები), ინგლისის ზღვის პირა ქალაქებს დაეცნენ და ეუმბარები ჩამოაგრესო. ეს მათი ოინები პირველი არ არის. ინგლისელებს, რასაკვირველია, არა სძინავთ; სანამ მოწინააღმდეგე ჰაეროპლანები გამოეგებებიან მათ ჰაერში საბრძოლველად, ინგლისელები სანაპირო კრეისერებიდან ტეპელინებს ზარბაზნებს დაუშენენ ხოლმე და დიდ ზარალსაც აყენებენ გერმანელები დღისით ვეღარა ბედავენ და ახლა დამ-დამობით ეპარებიან, რომ შეუმჩნეველნი დარჩნენ როგორც ზღვიდან ისე ხმელეთიდან მეთვალყურეთაგან; მაგრამ პროჟექტორების შუქით შენიშნავენ თუ არა, მაშინვე სირენით*) მცხოვრებლებს შეატყობინებენ, რომ ქუჩებზე მოერიდონ ეუმბარებს და სახლების ქვეშა საროულებს შეაფარონ თავი.

ჩვენი სურათი წარმოადგენს იმ წუთს, როდესაც გერმანელთა ტეპელინი, რომელშიაც რამდენიმე კაცი თავისუფლად ეტევა, ინგლისისაკენ მიეშურება, ხოლო ინგლისის კრეისერიდან მას ზარბაზნებს უშენენ. **მ. იანქო**

---

*) სირენა - გულსაკლავი და საბარელი სტვენა-გმინვა, ყვირილი, რომელსაც ასტეხავენ ხოლმე ცეცხლის მოდების, წყალდიდობისა ანუ სხვა რაიმე უბედურების დროს.

ფაფალიშვილის ლექსები

I

ალისფერი ვარდი

ივლისის მზე ჩაჰქრა, ცაზე
დღეს გვირგვინი დადნა წმინდა
და მიდამო გიშრის ვერის
ღამის სუნთქვით შეიბინდა...
ჩვენ ვიდექით აივანზე
და თვალები საუბრობდნენ,
ხან ერთმანეთს სწვავდნენ ცეცხლით,
ხან სიმორცხვეს გაურბოდნენ!—
მოხველ ჩემთან, მოხველ ახლო,
ნიავივით ცქვიტად, წყნარად
და მღელვარემ ალისფერი
ვარდი მიძღვენ სახსოვრად,
მითხარ—აჰა, სამუდამოდ
გქონდეს გულზე დასაკონად!
არ დააჭკნო!.. და თუ დაჭკნეს,
შეინახე მოსაგონად!..
— პასუხს მერე, მერე მოგცემ.
გითხარ მეტის ველარ მთქმელმა
და... ერთმანეთს დაგვაშორა—
შენ ღიმილმა,—მე ნაღველმა!..

. . . .

ტურფავ, ტურფავ,—მაგ თვალების
ცეცხლით დავწვავ ჩემს გულს ნაზად,
მის წმიდა მტვერს სავალ გზაზე
გადაგიფენ ფიანდაზად—
და... შენს პირველ გრძნეულ სიტყვებს,
თან მივიტან კუბოს კარად,—
თვით საფლავშიც მეყვარები! —
მეყვარები მარად, მარად!..

5 ივლისი 1914 წ.

——

II

მესაუბრები

მესაუბრები და შენი ხმები,
ზღვის ლოცვასავით წყნარნი და მშვიდნი,
ეთეროვანის სუნთქვისა ფრთებით
გულის ბაღიდან ამონაზიდნი,
იფანტებიან ვარდის ფურცლებად
და გრძნების სურნელს მიმოაბნევენ,
მანთებენ ცეცხლად, მიწვავენ შორს, შორს
და მოსვენებას აღარ მაძლევენ!..
თვალნი დამწვავნი შუქ-ნაღვერდალით,
ჩემს გულში ცეცხლის ბადესა ჰქსოვენ,
მაცდურის მზერით მიგებენ მახეს,
მამცდურ მზერითვე პასუხსა მთხოვენ.

***

...და აჰა, თუ კი ძალგიძს გაიგო,
აჰა, გულის ზღვა ცეცხლ-მოდებული,
შიგ მრავალ-ძთქმელი სიჩუმე ფრთხილი
გარს ცრემლის ეკალ შემოვლებული!..
და შიგ იცხოვრე ვარდის ცხოვრებით,—
მაგრამ ამას კი გთხოვ, მარგალიტო!
რომ გულის ვარდი წუთის საცელქოდ
და დასაჭკნობად არ მომიწყვიტო!..

13 ივლისი 14 წ.

III

რასა მპირდება?..

უღრუბლო გული, უცრემლო თვალი
კოცნის შარბათით აცრილი ბაგე,
მზერაში ცეცხლის აღ-ნაპერწკალი,
ღაწვი, ღიმილით მოლიანდაგე,
უხმო დუმილში მრავალი სიტყვა
და მიმოხვრაში ჯადო გრძნეული,
მსუბუქ სუნთქვაში უმწიკვლო ღელვა—
ჩემს ლაბირინტად გადაქცეული?
საით მიმიწვევს, რასა მპირდება,
სად არის მისი მიზან-საზღვარი!—
შიგ ჩემი ბედის ვარსკვლავი ჰკრთება,
თუ სასიკვდილო ცივი ზღაპარი?!..

— დეკემბერი—14 წ.

IV

წვიმს

წვიმს და ჯუჯუნა ვერცხლის წვეთები,
სარკმლის მინაზე სრიალით გლუნავს;
ვავყურებ ბნელ ცას და ქარიშხალი
იქ მიმოარხევს ჩემს ფიქრთა ტლუნავს!...

სახალხო თეატრის დასი

კ. ხახანაშვილი

ნ. გოცირიძე

რეჟისორი
კ. შათირიშვილი

ს. რომანიშვილი

გ. ჯაფარიძე

დ. ბაქრაძე

მ. რომანიშვილისა

ანკარა

ელ. ციმაკურიძე

მ. მატარაძისა

ვ. ნინიძე

გ ანაშვილი

მოკარნახე
მ. თუშმელიშვილი

ალ. მეტრეველი

სცენარიუსი
ალ. ბადრიძე

ა. ივერელი

ცის ქვემოდ ბნელა, ბნელა ჩემს გულშიც;
ცივა მიწაზე, ჩემს გულშიც ცივა;
სულში ეკალი ამოიზარდა,
ეკალი.- —მჩხვლეტავს და სული მტკივა! .

.....

ახ, რა ულმერთოდ მომიკლეს გული
და დამიწყევლეს ახალგაზრდობაც!—
ჯერ კი მაჩუქეს მე სიყვარული—
მერე წამართვეს სიცოცხლის ნდობაც!..

ღამევ, ეჰ, ღამევ, დაღვარე ცრემლი,
არ შეუძლიან ჩემს ცარიელ გულს
რომ ისიც კვნესით შეგეხმაუროს
და ბანი მისცეს შენს ბლოვის ფერხულს .
ღამევ, ეჰ, ღამევ, ცივი წვეთები
კვლავ მოსთავაზე მკვდარ გულის სარკმელს!.
იტირე ღ.მევ,— ჩემსა მაგიერ—
შენ დაგავალებ ჩემს გამოსათქმელს!..

ქ. ...

5 აპრ. 15 წ.

მასკარადში

თვალი ბნელდება, გარეშემოს კი ნათელი სწვავს,
მეწამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს,
ჭიანურის ხმაც ამ საღამოს უფრო მწუხარებს,
და ჯერედ უცნობს თვით ჩემთვისაც მიშლის იარებს...
იყო. . წავიდა... მოგონებაც არ მაგონდება,
შეუცნობელი კი ფართხალობს სულში ზმანება.
რომ მკითხოთ ახლა, ნე რა მინდა, რის ლოდინი მკლავს
თვ თონ არ-ვიცი, რა დავარქვა ამ ტკბილს უხილავს...
წარსული მოკვდა .. მომავალის ღიაა კარი,
მაგრამ შორს მოსჩანს შეყუთვნილი სუდარით მკვდარი.
ჩემი სულიცა რუხ დილაზე მოკვდა ობოლი,
წარსულ ირედთა ეკუბოვა მიმქრალი ბოლი,
ეროვნულ ცეკვას აჩვენებენ აქ უცხოელებს.
ჭყივის ჭიჭყინა, მოსთქვამს ზურნა ვჟლურ სიმღერებს
სიკვდილის ქარად მე იგი ხმა წამომიქროლებს,
რეკვიემია ეს რომ ჩემი ვინ დაიჯერებს!..
და შაგონდება მე ვაშლის ხე მაისის თვეში,
თეთრ ყვავილებით რომ ვაგებდი ეზოში ლოგინს,
აღარ დაბრუნდეს აწ იგი დრო ჩემ სიცოცხლეში,
აღარ დაუწყებს სული ჩემი საყვარელს ლოდინს!..
თვალი ბნელდება... გარეშემოს კი ნათელი სწვავს,
მეწამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს,
რომ შეაშფოთონ მათ მოწყენა, მუნჯი და მკვდარი,
ჩემ რეკვიემად დაფა-ზურნის მოისმას ზარი...

ტ. ტაბიძე

კახეთის რკინის გზაზე

(სცენა)

(დილის რვა საათია. თბილისის სადგურზე კახელი მგზავრები იყრიან თავს. კასასთან ბილეთის სასყიდლად ჩამწკრივებულან სხვა და სხვა ყალიბისა და ჯურის ხალხი მაღალ-ვარატნიკიანი წრეში დგომას თაკილობს. განზე გასულა და ისე მიჰყვება წრეს).

პოჟოლუსტა. Фу! что за безобразіе, არაფერი „პარიადკა« არ არის. როდის უნდა მელირსოს ბილეთის აღება! ყველგან გაუ... (დინახავს ახლო მდგომ ჟანდარმს და წამოწითლებული ენაზე კბილს დიდგამს)

თელაველი ვაჭარი. მაიცა რაღა, რა კამეჩივით მაწვები, ვა! შენც გერმანია გახდი? ბევრი რომ იწიო, აქ „ჩერედას« უნდა მოუცადო. ცოტა უკან დაიწი, ლამის სული ამომხადო. ეს პოჟოლუსტა განა კარგი არა შვრება, რო წრეს გარედ დამდგარა! ნამდვილი ქედნები ხართ ეს კახელები.

გლეხი. ბიჭო! შენ შლაპკა ხომ არ გიჭირებს? ვერა ხედავ »პერვი ზვანოკი« იყო, თუ არ მივაშურე—იქნება ორ დღეს აქ მოგვიხდეს თვალების ბრეცა

ჟანდარმი. Назадъ, назадъ куди лезишь.

———

(სადგურგო კანტორასთან დიდი სრესაა)

კნეინა. მომხედეთ აქეთ, თუ ღმერთი გწამთ, მიიღეთ ეს ჩეკი; ხუთი ფუთია ჩემი ბარგი.

ვესოვჩიკი. Четыре рубля девяносто пять копѣекъ.

კნ. რა ბრძანეთ?

ვეს. ვოთხი მანეთი და ვოთხმოცდა ხუთმეტი კაპეიკი, ბატონო.

კნ. ჰე! ჰე! ნუ მასხარაობთ გენაცვათ, სწორეთ რა გერგებათ?

ვეს. იმე, კი არ ვმასხრობ, მეიტათ, ბატონო, ვოთხი მანეთი და ვოთხმოცდა ხუთმეტი კაპეიკი, ნუ მაცდენთ. მაგი ჩემგან კი არ დაწესდა, „ვობშჩი პასტანავლენია“ გახლავთ.

კნ. როგორ თუ ფუთი მანეთი? შე დალოცვილო რად გვიხაროდა რკინის გზა. ამისთვის? ვის გაუგია, გენაცვათ! რკინის გზა თუ არ გვინახავს იგრე გზები? – ხომ მივლია. ფუთი აბაზათ, ხუთ შაურათ ყოფილა მუდამ.

ვეს. ვაენობაა, ბატონო, და ესპლოტაციას ფული სჭირდება, მომეცით ნუ მიკარგავთ დროს.

მლვ. სული ნუ წაგიწყდება, დაო, მიეცით ჩქარა. ხომ იცით მაგის ბრალი არ იქნება, „პოეზდი“ დაიძვრება საცაა

კნ. ოხ! ოხ! ღმერთმა შვიდობა მისცეს თქვენს რკინის გზას. (იდებს ფულს)

პოუ. Господинъ конторщикъ! ჩემი ბაგაჟი ორი ფუთი და ერთი გირვანქაა. აი მიიღეთ ფული. (აწყდის ხუთ მანეთს)

ვეს. (ორ მანეთს უბრუნებს) Три рубля взято съ васъ.

პოუ. Что вы! ღმერთმანი ეს ხომ გატყავებაა!?

ვეს. Ну чтожъ, правила братъ. ..

პოუ. Фу, кругомъ безобразіе! (ისმის მეორე ზარის ხმა. შეიქნება ჩოჩქოლი, ხმები: „ჩემი, კანტორჩიკო! ჩემი!“ „არა, არა! ჩემი აიღე, ჩემი!“ „ამენდე ჩემი წინ გადმოგიგდე“).

ვეს. დეითმინეთ, ბატონებო, დეითმინეთ! ვუჩემოთ პოეზდი ბიჯსაც ვერ გადადგავს, ნუ შიშობთ.

მლვ. აი, ბატონო! ექვსი ფუთი ბარგი მაქვს. მეტი წილი საეკლესიო ნივთებია. სკიდკას გთხოვთ. თანაც ოთხი ბილეთი მაქვს. იმედია ამ ბილეთებისას მომიჭრით

ვეს. (დააკვირდება ბილეთებს) მამაო, ეს სამი ბილეთი ხომ სხვებისაა, წელან მაჩვენეს, თქვენ საიდან ჩაგივარდათ ხელში?!

მ. ჭიაურელი

დღევანდელ დილის გამართვის გამო სახ. სახლში

მლვდ. (ენა ებმება) არა... ბა ..ტონო ჩემი ცოლშვილი იქ ებოდა... მაგრამ არა უშავს რა. მაგეებს თუ არ ჩასთვლით, ერთი ბილეთი მაინც ჩათვალეთ.

თელ ვაჭ. ღასპადინ ხაროში, ეს ქაღალდი თქვენია?

ვეს. კი! მეიტა. აქანა თორმეტი ფუთია და ათი გირვანქა ბაგაჟი. ცამეტი მანეთი იქნება. თუ ნათლულის ბილეთისას გამოვალთ, რამდენიმე კაპეიკს ნაკლებ ვიანგარიშებ.

თელ. ვაჭ ვერ გამიგია რასა ბრძანებ.

ვეს. ყრუ ხომ არა ხარ? ცამეტი მანეთი უნდა გადაიხადო.

ვაჭ იაღლიში არ იყო. ჩემი წასაყვანი ბილეთისა ოთხი მანეთი და ათი შაური მივეცი. ჰამაც ორი კაპეიკი ვაენი ნალოგი გადავიხადე.

ვეს. ვიცი რომ მიეცი, მაგრამ კიდევ ცამეტი მანეთი უნდა

ვაჭ. კარგი ერთი და მამა გიცხონდა. თუ არა ხუმრობ, მაშ ჩემი ვეშჩი უკან დამიბრუნეთ.

დაჭრილი სალდადი. „Честь имѣю представить ранини салдатъ“.

ვეს. ჰო! რა გინდა? მოკლედ სთქვი.

დაჭ სალ Прикажить мои вещи ваагонში შევიტანო და ვიმგზავრო.

ვეს Проходной есть?

დაჭ. სალ. Такъ точна, მაგრამ кармаеой не палагаится что-ли თქვენ ვაგონში? კაზიონათ არ უნდა ვიარო? ყველგან ვაგონებში საჭმელებს გვაძლევდნენ, აქ კი ამბობთ „ნე პალაგაიტსიაო“. Тву, что за чортъ! ამათ რა იციან რა არის ვაენობა. (ისმის ზარის ხმა, ფშვიტანი და მატარებელი იძვრება)

გენო

(დასასრული იქნება)

როგორ ცხოვრობდა აკაკი?

აკაკიმ თავის ცხოვრებაში ბევრი სიმწარე განიცადა. იმავ თავიდან ამ კაცის ცხოვრება, სამწუხაროდ, შეგიწროებულის სახით მოირთო. რაკი აკაკი ერთხელ ასცდა ცხოვრების წესიერ პირობებს, მის სწორე გზასა და ზოგიერებას ნივთიერების მხრივ, მის შემდეგ იგი მის გამოსწორებას ვეღარ ახერხებდა; შინაურმა და გარეულმა პირობებმა ნამეტურ ქართველების ვაებით სავსე ცხოვრებამ, იგი მკაცრად მოაცალეს თავის თავის პატივისცემას და მზრუნველობას. ასეთმა პირობებმა მასზე მეტად ცუდათ იმოქმედა, ამით აკაკი ძლეულ იქმნა და სასტიკათაც დასჯილი.

ზოგნი იტყვიან, აკაკის თავმოყვარეობა არა ჰქონდაო, აკაკის შეძლებაც კი მოეპოებოდა და ყოველ მხრიდან დახმარებასაც აძლევდენო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ აკაკის თავმოყვარეობაც ჰქონდა და მისი კაი შეგნებაც, მაგრამ რაკი ერთხელ ასცდა ცხოვრების ზომიერ სახსარს, რაკი ერთხელ მისი ცხოვრების პირობები არა ნორმალურს პირობებში მოთავსდა, მის შემდეგ იგი ამის დაძლევას ვეღარ ახერხებდა, თავს ვერ ახწევდა.

აკაკის იმავ თავიდან მუდმივი დანიშნული დროული ულუფა არა ჰქონდა, ამის გამო მისი ცხოვრების დღენი გახდა მის მუდმივ სავალალოდ და საგოდებლად. ამას შემდეგ წერილებში ნათლად ვნახავთ. აკაკი სახელოვანი მგოს ნიიო, კაი ლექსებს სწერდა, ყველა აღიდებდა და აქებდა მის სახეს და ნიჭიერებას, ეს იყო მისი სიმდიდრე, ულუფა და საცხოვრებელი.

იმას კი არავინ კითხულობდა, ამ ნიჭიერ კაცს, მუდამ დღე რა ცხოვრების პირობებ. ჰფარგლავდა, რა დღეში იყო მისი დღიური საზრდოება, სად იდგა, სახლის ქირას როგორ აძლევდა, ან რას სჭამდა და რას სვამდა. იტყვიან ბევრნი, რომ აკაკისთვის ყველა ქართველი კაცის სახლის კარი დია იყოფო, მას არც სახლის ქირა შეაწუხებდა და არც საჭმელ-სასმელიო.

შეიძლება ეს ასეც ყოფილიყოს, ამის წინააღმდეგი ჩვენ არა ვართ. მაგრამ, როგორც ვიცით, თვით აკაკი კი ასეთი სახლის კარის გაღების და ასეთი პურმარილის მკაცრი მოწინააღმდეგე გახდათ. მას სულაც არ ესიამოვნებოდა ასეთი პირობები და მუდამ დღე აქედ-იქით სიარული. მას ჩემთვის ბევრჯერ შემოუჩივლია გულახსნით და თან უთქვამს, რომ „შენთან დასასვენელი არა მაქვს რაო“.

ამიტომაც უნდა მოგახსენოთ, რომ აკაკის ცხოვრება ოჯეულთვის გაჭირვებით იყო მორთული და მის საყოველთაო სიფიქრებებელს შეადგენდა ის გარემოება, თუ დღიური საზრდო სიალან როგორ ეშოვნა, ან სახლის ქირა როგორ და სიალმ მიეცა, ნამეტურ იმ დროს, როცა იგი რომელსამე სასტუმროში იდგა და ოთახი ეკავა ქირით.

სწორედ ასეთის გარემოებისაგან აკაკი მუდმივ მდელვარებაში იყო ჩაყარდნილი, მისი გარეგან ცხოვრებას ყველა წინაშე აშკარა გახდათ, ხოლო შინაური ცხოვრების პირობები უცნობა და სიალუმდო, იგი მარტო აკაკიმ იცოდა და თითო ოროლა იმ პირი, ვისაც მისი კარგი დაახლოებული ცნობა ჰქონდა. ნუ გაგიკვირდებათ ის გარემოებაც, რომ აკაკის ასეთი ცხოვრების გამო თითქმის უმეტესობის სიმძულვარე და ზიზღი აქვნდა რაც მის ცხოვრებაში უმნიშვნელოდ არ შეიძლება რომ დარჩეს. ამ გარემოებას თვით მის პოეზიაზედაც ჰქონდა დიდი ზეგავლენა.

ზ. ჭიჭინაძე

(შემდეგი იქნება)

თეატრის ისტორია

უძველეს საბერძნეთის თეატრი

თანამედროვე ევსტრალიის პირველეულოვილ ხალხების მსგავსად ბერძნებსაც თავის განვითარების პირველ სოფეხურზე დმერთისთვის სასიამოვნოდ მიაჩნდათ ის, რაიცა ასიამოვნებდათ თვით მათ. იმათ მიჰქონდათ სამსხვერპლოზე საუკეთესო საქონელი, ღვთისათვის შესაწირად ძვირფასი ნივთეულობა და ატკბობდენ ღვთის ყურთა სმენას სიმღერით და მუსიკით. ჰომერს

ილიადაში მოთხრობილი აქვს, თუ როგორ იმ-ღერდენ ახეაანები მთელი დღის განმავლობა-ში ანთლონის წაულობის დასამსახურებლად.

საბერძნეთის თეატრის ჩანასახს ჩვენ ვხე-დავთ უძველეს ბერძნების ამ სარწმუნოებრივ დღესასწაულის შინაარსში... ცნობილია რომ ელევზინში მემამულეთა მფარველი დმერთის დემეტრის პატივსაცემლად იმართებოდა სარ-წმუნოებრივ-დრამატიული დღესასწაული. განსა-კუთრებით ამგვარი დღესასწაულები გავრცელე-ბული იყო აგრეთ წოდებულ „დიონისებზე“; ბერძენ დმერთებს შორის უმხიარულეს დმერ-თის დვინის დიონისის პატივსაცემლად. ამ დღესასწაულს თან მოსდევდა მუსიკა, ტეკვა და სიმღერა განსაკუთრებულ ჭიმნებისა, რომელ-საც უწოდებდენ დიფირამბს“. დიფირამბის ში-ნაარსი აღებული იყო დიონისზე შეთხზულ მითებიდან. ამ მითებში მოთხრობილი იყო დი-ონისის გმირობა, მისი ტანჯვა (მხეცებმა შუა გახლიჩეს) და ბრწყინვალება (იგი მზის დმერ-თმა ზევსმა მკვდრეთით აღადგინა).

პირველად დიფირამბს მთელი გუნდი მღეროდა, შემდეგ თესპისმა მოუმატა გუნდს ერთი პირი წინამძღოლის სახელწოდებით. წინამძღოლი კითხულობდა ნაწუვეტებს დიონის-ზე შეთხზულ მითიდან და გუნდი კი მღეროდა ტეკვავდა და მით გამოსთქვამდა თავის გრძო-ბას გაგონილის შესახებ.

გუნდისთვის ერთი პირის მიმატებ ანუ წინამძღოლის გამოყოფვა პირველი ნაბიჯი იყო სიღერიდან დრამაზე გადასვლისა. ამ გამოყო-ფვამ დაბადა დიალოგი წინამძღოლსა და გუნდს შორის და მით სიშლერა დრამად გადაიქცა.

დიფირამბის შემთხვეული მგოსნები არ კმაყოფილდებოდენ მარტო დიონისზე გავ-რცელებულ მითით და სარგებლობდენ აგრეთვე სხვა დმერთებზე გავრცელებულ მი-თებითაც. ვინაიდან ამ მითების შინაარსი თან-დათან რთულდებოდა, ამისთვის საჭირო შე-ქმნა შემდეგ დიფირამბში ერთი წინამძღოლის მაგივრად ორის გამოყვანა. დიფირამბში ეს ცვლილება პირველად უძველეს საბერძნეთის მგოსანმა ესქილოსმა შეიტანა.

ესქილოსი ცხოვრობდა ქრისტეს დაბადე-ბამდი 525—456 წლებში, მას ტრაგედიის მამას უწოდებდენ და დაწერილი ექონდა 40 პიესა, რომელთაგან ჩვენამდი მხოლოდ 7 პიე-სამ მოაღწია. ამ ხანიდან დიფირამბის სიმღე-რამ მიიღო დრამისა და ტრაგედიის სახე და გუნდის წინამძღოლები საბერძნეთის თეატრის მსახიობებათ გარდაიქცნენ, ხოლო დიფირამბი კი გარდაქმნა დრამად.

დრამატიული პოეზია ეპიურ პოეზიისა-გან განსხვავდება მით, რომ ეს უკანასკნელი გვიხატავს წარსულში მომხდარ ამბავს, ხოლო დრამატიული კი ამ ამბავთან გვაახლო-ებს და გვაგრძნობინებს, ვითომ ამბავი ახლა ხდება. ეპოსი მოთხრობაა მომხდარ მოქმედე-ბის შესახებ და დრამა კი თვით მოქმედების გამოხატვაა.

დიფირამბში ორი წინამძღოლის შეტანით შესაძლებელი გახდა სცენაზე ერთდა იმავე დროს ორი პირის გამოყვანა. ამის შემდეგ გმირების აღარ დასჭირდათ თავის გმირობის ამბის მოყოლა. რაც უნდა ათასი წლის წინად მომხდარი ამბავი ყოფილიყო, გამოდიოდენ მსახიობნი სცენაზე და თავისი ხმითა და მო-ძრაობით გამოხატავდენ ამბის მომქმედებს ტოტხლებად.

აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნა გამო-ვიყვანოთ, ვითომ მგოსნებს ამ ხანაში თავის დრამებში ორ გმირზე მეტის გამოყვანა არ შესძლებოდათ. თვითოეული მსახიობი პიესაში რამდენიმე პირის როლს ასრულებდა ტანისამო-სისა და ნიღბების შეცვლით, შეუძლებელი მხო-ლოდ სცენაზე ერთდა იმავე დროს ორი პირის გამოყვანა იყო.

ქრისტეს დაბადებამდი მეექვსე საუკუნეში პირველად ფრინიხოსმა შემოიღო ქალის როლი. წინად თანამედროვე თემას ტრაგედიებში არ ეხებოდენ. ფრინიხოსმა ამ მხრით ტრაგედიე-ბის შინაარსში ცვლილება შეიტანა. იგი შეეხო თავის ტრაგედიაში მიდეტის ადებას სპარსელე-ბისაგან. იმავე დროს დაიწყო სატირული დრა-მის წერა, რომელსაც ჩვეულებრივ დრამის შემ-დეგ არგენდენ, შემდეგ მალე სცენაზე მესამე პირიც გამოიყვანეს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

გიგლა მებუკე

განახლების დილა

მთელი ღამე წვიდა წვიმა
კოკისპირულ თქრიალითა.
და ცის კიდე დაამსხვრია
გრგვინამ ჭექა-გრიალითა.

—

და მაგ ღამეს მოჰყვა დილა
შუბლ-გახსნილი, სპეტაკ-წყნარი.
და გვირგვინად მოევლინა
მას ღაჟღაჟა, სხივ-ნარნარი.

—

და ეს უცხო დღე სპეტაკი
აღარა ჰგავს გუშინდელსა:
გუშინ მტვრისგან სუნთქვაც სჭირდა;
დღეს... მადლობა შემოქმედსა!

—

ოჰ, გიჟმაჟო ნიაღვარო!
შენ, ძლიერო გრგვინის ღმერთო!
მე მსურს, რომ დროთა-დროთი
ჩემს ყოფაშიც განიღმერთო!..

—

რომ წარეცხო წარსულ დროთა
მონახვეწი მასში მტვერი —
და მომგვარო განახლების
დილა სპეტაკ მშვენიერი!

ი. ტამადელი

წარმოდგენები დუშეთში

ქ. დუშეთს ამ ბოდო დროს კულტურულად ტოტალი გამოცოცხლდება დაეტყო. მიზეზი ამ სასიამოვნო მოვლენისა არის ქ. ს წ. ბ. ს. გინეოფილების და სტენის მოყვარეთა წრის დაარსება აქ ბირველი დაწესებულება ჯერ ვერ არის სამოქმედოთ ჯერობამ კალაბოტში ჩაუნებული, ხოდო მეორე მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად სიდადისიერად იდგწის ჯერ-ჯერობით. წინად წელიწადები გაიგლიდა ზედიზედ, რომ დუშელები ერთ წარმოდგენასაც ვერ ედირსებოდნენ. ახლა კი თვეშიც ორ-ორთა მართავენ.

მარტის 7, გინსვენებულ მგოსნის ალაკის სსოვნის ბატიესცემლად, მისი ორმოცის თავზე წ. ბ. ადგილობრივ გინეოფილების გამგეობის თაოსნობით სტენის მოყვარეთა წრემ გამართა სალიტერატურო საღამო. ამ საღამოზე დ. კობიაშვილმა წაიკითხა რეფერატი, რომლითაც დამსწრეთ გაუცნო მგოსნის ცხოვრება და მის ნაწარმოებთა შინაარსი. დადგეს „ბატარა კახი“ (ორი ბირველი მოქმედება). მსახიობთ ეტეობოდით თავთანთი სქმისადმი სინდისიერად მოქცევა და ეველამ თავთავთანთი როდი კარგად ჩაატარა. განსაკუთრებით საზოგადოებას უურადღება და ტაში დიმსახურეს გ. მაისურაძემ (ბატარა კახი), ს ბერიშვილმა (რევაზ ბებურიშვილი), ს. ნამორაძემ (გივი ჩოდოეაშვილი), დ. კობიაშვილმა (გელა), ოსიტაშვილმა (მწეემსი) და ნ. კანდელაკმა (ტურფა). შემდეგ მოჭეკა მგოსნის რჩეული დექსების წარმოთქმა. მშვენიერად წაიკითხა დექსი ადგილობრივ ვაჟების სკოლის ერთმა მოწაფემ, რომელიც დაჯილდოების ნაცვლად, სასტიკად დასაჯა თავისმა მასწავლებელმა (ქართველია ეს „ბედაგოგი“ და საკვირველი „მეცენატი“ ადგილობრივ სტენისა, რომელიც მტკიცე ფიცსა სდებს, შემდეგშიც ხელი შეუშალოს ეოვლის ძალით ეოველ კეთილ საზოგადო საქმეს). დექსების შემდეგ გუნდმა გ. კალაშვილის დოტბარობით რამდენიმე სიმღერა შესრულა. საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და მადლობელიც დარჩა სალამოს მეთაურებისა.

მეორე წარმოდგენა გამართულ 1 აპრილს, დასდგეს „ხანუმა“. ითქმის ეველა მსახიობთ, ტოტას გამონაკლისით, მოლოდინს გადააჭარბეს, კარგად წარმოადგინეს და ხალხიც დიდი ნასიამოვნები დარჩა. მათ შორის მაინც ირჩეოდნენ: ქ.ქ. ვარ სიდამონაძე (ხანუმა), ს. ბერიშვილი (ქაბატუა) და ნ. კანდელაკი (სონა); ბ. ბ. ვ. მეტრეველი (მიგიზ), ს. ნამორაძე (თ. ვანო), დ. კობიაშვილი (ტიმოთე), მ. ოსიტაშვილი (აკოფა) და სხ..

ორივე წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დასწრო. საზოგადოდ წარმოდგენებს ძალიერ ეტანება დუშეთი ამიტომ წრეს დიდი ენერგია და მეცადინეობა სჭირია, ეოველივე დაბრკოლება როგორმე თავიდან აიშორონ და დაკმაყოფილოს ხალხის წეურვილი. მართალია ბევრი დაბრკოლება ედობება, მაგრამ მუეაითობს და ბეჯით

შრომას არა დაუდგება რა წინ. სადაც ახლა იმართება წარმოდგენები, ეოედმხრივ ძლიერ შეუსაბამოა: შენობა ვიწრო და დაბალია, სცენისათვის ადგილი უვარგისია. ამას რომ დაუმატოთ დეკორაციების სიღარიბე, სხვა მოწყობილობათა უქონლობა, ინტელიგენტურ ძალთა სიმცირე, ზოგიერთ გაუბატონებისგან ხელის შეშლა და სხ. ადგილი წარმოადგენია, თუ რა პირობებში უხდება წარმოდგენების გამართვა აქაურ ნორჩს სცენის მოყვარეთა წრეს. მიუხედავად ამისა, წრეს ჯერ რიგიანად და სინდისიერად მიჰყავს საქმე და შემდეგ, თუ შრომა არ დაიზარა და არ მიაქცია ყურადღება უმწიკვლო წვრილმანებს, როგორიც იყო 7 მარტს ინტინდენტი, საქმე სასურველად მოეწყობა და მოსალოდნელ ნაყოფსაც გამოიღებს.

შემოსავალიც ორივეჯერ რიგიანი იყო

შორეული

ქართული სახიობა

ქართველ მსახ. ამხანაგობამ მ. ქორელის რეჟისორობით ოთხშაბათს 15 აპრ. წარმოადგინა „ოიდიპოს მეფე". დიდის ხელოვნებით შესრულეს ად. იმედაშვილმა ოიდიპოს, ად. შანშიაშვილმა—ტირეზი. კარგები იყვნენ ი. ზარდალიშვილი—კრეონ და ან. ქიქოძე—იოკასტა. რეჟისორის მხრივ პიესა რიგიანად იყო დადგმული. სუფლიორი იყვნენ მს ვალნი. ხოლო უხასიათო მოხუცნი. დიდძალი საზოგადოება დესწრო.

გულია

ბაბილინას დილაც კვირას, 12 აპრ. ჩვეულებრივად ერთი საათით გვიან დაიწყეს და განცხადების თანახმად არც ლექტორმა დ-ტო უზნაძემ წაიკითხა ლექცია. სამაგიეროდ ეს ნაკლი მშვენივრად შეავსო მ. კავსაძის გუნდმა, რომელმაც გლეხურ ტანისამოსებში რამდენიმე გლეხური სცენა გვიჩვენა. სიმღერები საუცხოვო იყო და საზოგადოებამაც ტაშით დააჯილდოვა. სასიამოვნო, რაკრაკა და ტკბილი მოსასმენი ხმა აქვს ნიკო კავსაძეს. დილა საყურადღებო იყო იმ მხრითაც, რომ ქალ-მწერალთ (დ. ახვლედიანი, ბაბილინა, ცქვიტი) მიიღეს მონაწილეობა. დ. ახვლედიანმა მშვენიერი ლექსები წაიკითხა (ერთი მათგანი „ქართველი დედის სევდა" ჩვენს ჟურნალში იყო დაბეჭდილი). ულმოსაღტაცება გამოიწვიეს გ. ჭუჩაშვილმა და ი. გრიშაშვილმა თავთავისი ლექსებით. საუცხოვო ლექსი წარმოსთქვა ს. აბაშელმა. ვანო სარაჯიშვილმა ხუთამდე სიმღერა შეასრულა. ქ-ნმა ნ. დავითაშვილმა და ალ. იმედაშვილმა წარმოადგინეს „დედა და შვილი". კარგი დედა იყო ნ. დავითაშვილი, სუსტობდა ალ. იმედაშვილი (როლიც კარგა არ იცოდა). პიესა სუსტად იყო დადგმული, ხალხი ბლომად დაესწრო.

უსავანო

სახალხო სახლში სახ. წარმ. მმართ. წრემ კვირას, 12 აპრ. წარმოადგინა „იმედის დაღუპვა". ხალხი ბლომად დაესწრო

ნაძალადევის თეატრში შაბათს, 11 აპრილს, წარმოადგინეს ივ. გიგოშვილის ახალი დრამა „შურის ძიება", რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: სოფლის მამასახლისად ნამყოფი ალექსი (გ. სვანიძე) აღშფოთებულია, რომ მის ნაცვლად მამასახლისად სხვა ამოირჩიეს, და გადასწყვეტს ახალი მამასახლისის (გაბინაშვილი) მოკვლას. ამის აღსასრულებლად მიჰმართავს იმავ სოფელში მცხოვრებთ შაქროს (გოგაშვილი) და სესიას (ღოღაძე), რომელნიც, მართლაც, ახალ მამასახლისს მოჰკლავენ მით უფრო, რომ ალექსი მათ ჰპირდება: „თუ თქვენ დაგიჭირეს, თქვენ ცოლშვილს მე ვუშველიო"... მკვლელებს შეიპყრობენ... მამასახლისად მაინც ალექსის არ აირჩევენ.. გაბრაზებულია... დატყვებულთა ცოლშვილს, შველის მაგიერ, ლანძღვა-გინებით გარედ აგდებს... შაქროს მეუღლე ვარო (მარ. მარგველაშვილი) დასნეულდება... შაქრო სატუსაღოდან დაბრუნდება, მაგრამ მის მოსვლისთანავე ვარო გარდაიცვლება, და შაქრო გადასწყვეტს, რომ ალექსის შური იძიოს..

თვით ფაქტი შურის ძიებისა შემდეგში, ფარდის იქით უნდა მოხდეს, თვით პიესა მიგვაჩნია შესავალად იმისა, რაც უნდა ავტორს ეთქვა... შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა უმთავრესი ადგილები სხვა და სხვა ნაწარმოებიდანაა ამოკრეფილი, რის გამო ერთ მთლიანს ვერაფერს იძლევა... სრულიად მეტად მიგვაჩნია მთელი პირველი მოქმედება, რომელიც პიესას მხოლოდ აზვიადებს და აქუცმაცებს.. მხატვრული მხარე ხომ ძალზე მოისუსტებს... ამ გარემოებას მიუმატეთ ისიც, რომ პიესა სრულიად მოუწყობლად დაიდგა, რომ მომქმედნი პირნი (გარდა მარ. მარგველაშვილისა, გოგაშვილისა და გაბინაშვილისა) სრულიად უფერულნი იყვენ, რომ პიესის მსვლელობას ზედ ერთვოდა მაცქერალ ლაზღანდარა ახალგაზრდათა უხამსო ქცევა, და ნათლად წარმოიდგენთ მთელ საღამოს ვითარებას..

საკვირველია, სად არიან თეატრის მესვეურნი?!.

მოკეთე

ავლაბრის სახალხო თეატრში კვირას, 12 აპრილს. ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრემ წარმოადგინა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

წარმოდგენა დაიწყო გვიან ათის თხუთმეტ წუთზე. ვედოკია ანტონოვნა — საკოვისა სუსტი იყო. არ შეჰფეროდა ასეთი მძიმე ტვირთი. ოლგა ნიკოლაევნა—კავთელი შეუფერებელი იყო, მკაფიოდ არ ისმოდა მისი სიტყვები. გლუხოვცევი —ყივიძეს არა უჭირდა რა.

ონუფრი—სალაყაია, საშუალო იყო, მიშკა—მგალობლიშვილის მიხვრა-მოხვრა და ხმა ყარაჩოხური ჰქონდა. ბლოხინი—სულთანიშვილმა გადააჭარბა, მირონოვი—თავდგირიძეე, თითონაც არ ესმოდა რას შერებოდა: იმას კი ვხედავდით, ყბას აღებდა, სიტყვების მაგივრად—ცხვირიდან ნიღნიღი გვესმოდ. წარმოდგენა გათავდა პირველის ნახევარზე, ხალხს ძილი მოერია. მუშა ხალხი სწუხდა რად მოვედითო, ხვალ სამუშაოდ ხუთ საათზე როგორ ავდგეთო. ნეტა ისეთ პიესას რად სდგავენ. რის ძალაც არ შესწევთ და რატომ წესს არ იცავენ?

ი. მოგზაური

ალაგირში (თერგის მაზრა) კვირას, 29 მარტს, ქართული სკოლის დარბაზში სცენის მოყვარეთ ადგილობრივ უფასო ქართულ წიგნ-საკავ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს „უმარილის ბრალია“ კომედია 3 მოქ. თუთაევისა და „დავა“ (თარჯიმანები) ერთ მოქ- ერისთავისა, წაიკითხეს ლექსები, დასასრულ გაიმართა ცეკვა. მონაწილეობდნენ: ქ-ნნი მარიამ მეტრეველი, ფეოდოსია მეტრეველი-ჩიხრაძისა, ნატალია ლობჯანიძე; ბ-ნნი ილია ლობჯანიძე დავით არევაძე, პეტრე მეტრეველი და ფილიპე მეტრეველი. საღამომ კარგად ჩაიარა და ხალხიც მადრიელი დარჩა, მეტადრე ალავიძის, მეტრეველის და ლობჯანიძის-მიერ ლექსების კითხვით.

პეტრე უფრელი

წვრილი ამგები

განჯაში სამშაბათს, 28 აპრ. ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, ელ. ელ. ჩერქეზიშვილის, ნ. გოცირიძის და სხ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“, 2 მოქ. შემდეგ დივერტისმენტი გაიმართება

ისიდორე რამიშვილს ნება მიეცა თბილისის გუბერნიაში იცხოვროს

ჰოლა ლომთათიძეს საქართველოში დაბრუნების ნება მიეცა.

კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი ამ ჟამად ბაქოშია და სამუსიკო ლექციას ამზადებს მოკლე ხანში თბილისში წასაკითხად.

ძართველ მსახიობთა ამხანაგობა სამშაბათს, 21 აპრილს, სახალხო სახლში წარმოადგენს „ნაპოლეონი და ჟოზეფინა“-ს.

აკაკის დაკრძალვის წიგნი საგამომცემლო კომისიამ უკვე შეიმუშავა და ამ მოკლე ხანში ბეჭდვასაც შეუდგება ქართ. საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების სახელით

ეძ. ვახტანგ ღამბაშიძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს გუმბრს

სახალხო უნივერსიტეტის კრებას გასულ კვირას იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ სხდომის დარბაზმა ვერ დაიტია. ამიტომ საზოგადოების თხოვნით კრება გადაიდო შემდეგი კვირისათვის და გაიმართება ადგილი სახალხო სახლის სათეატრო დარბაზში.

ახალი პიესა გადმოაკეთა გრ. აბაკელიამ ფარაონისა, ზენკევიჩისა და ამფითეატროვის თხზულებებიდან, სახელად „ქრისტიანობის განთიადზე“ 9 სურათად, ლექსად სურათი პირველი: მეფე კლავდის მკვლელობა და ნერონის გამეფება, 2) ნერონის აღზრდა, 3) ნერონის დედის აგრიპინას მკვლელობა, 4) ქეიფი ნერონის სასახლეში, 5 ლიგიელი ქალის გატაცება და მარკოზის სულის კვეთება. 6) ქრისტიანები 7) ცეცხლი რომში, 8) ქრისტიანების დასჯა და ხილონის სიკვდილი და 9) ნერონის სიკვდილი და გალბას გამარჯვება.—

„მოსკოვის თეატრ-ვარიეტე მაკსიმში“ ნავრულ-ლეკურს ცეკვავს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვანო ნანიშვილი, რომელსაც აუწერელი ოვაციებით ჰხვდება საზოგადოება. „მაკსიმის“ დირექცია თვიურად აძლევს სამას მანათს, რადგანაც ნან-ი ერთი იმათთაგანია, რომლის მონაწილეობაზედაც არის დამყარებული თეატრის შემოსავალი. როგორც გადმოგვცეს, ამ ახალგაზდას იწვევენ ამერიკაში—სან-ფრანციკოს—გამოფენაზე.

იბეჭდება თბილისში და მალე გამოვა რუსულ ენაზე „აკაკი და მისი პოეზია“: მოკლე ბიოგრაფია აკაკისა, ავადმყოფობა, სიკვდილი და დაკრძალვა მგოსნისა, სიტყვები, პრესა აკაკის შესახებ, ქართული პრესა, რუსული პრესა, სომხური პრესა, მუსულმანთა პრესა, მგოსნები აკაკის შესახებ, მწერლები აკაკის შესახებ, აკაკის ლექსები და სამგლოვიარო დეპეშები აკაკის გარდაცვალების გამო.

შეცდომის გასწორება (ილ. აბრ. ჩუბინაშვილის შესახებ)—გასულ კვირის ნომერში მოთავსებულ ილ. აბრ. ჩუბინაშვილის სურათს მოწერილი ჰქონდა—სახალხო სახლის მოსამსახურეთა და სექციებს განუზრახავთ, თავისი ხარჯით გაუკეთონ ხის ფეხი უნდა იკოს—გადაუწყვეტიათ და მოსამსახურენი ხელის მოწერით ფულს აგროვებენ, რომ გუდაპერჩის საუკეთესო ფეხი გაუკეთონ

წერილი დედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო გთხოვთ ამ შენიშვნას ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში ადგილი დაუთმოთ

ამ ხუთი წლის წინად, ქართულ გაზეთებში სხვა და სხვა ცნობები იბეჭდებოდა მასზედ, რომ ბ. იასონ კერესელიძე ხალხში სოფელ-სოფელ წიგნებს ატარებს და ჰყიდისო. ისიც კი ვიცით, რომ ამ კეთილი საქმის თანხად თვით „ქართულ კლუბიდამ 300 მ. დახმარებაც მისცეს, რომ მას ამით წიგნები უნდა შეეძინა და ხალხში ევრცელებინა.

წიგნების მხრით, იასონ კერესელიძეს ყველა ხელს უწყობდა. მეც, რასაკვირველია, ვაძლევდი. ჩემგან სამი წლის განმავლობაში ზიდა სხვა და სხვა წიგნები და ფული კი სულ არ მოჰქონდა, დღეს მასზედ ჩემი წიგნების ირიცხება 280 მ. მეტი, იგი კი არსად სჩანს და თვალითაც არ ენახვება კაცს.

ამიტომ თქვენ ის ჟურნალის საშუალებით მივმართავ და ვსთხოვ მას, რომ საქმე გამითავოს და ანგარიში გამისწოროს.

ზ. ჭიჭინაძე

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1915 годъ, на журналъ

ТЕАТРЪ И ИСКУССТВО

52 №№ еженедѣльнаго иллюстриров. журнала (свыше 1000 иллюстр.)

12 ежемѣсячныхъ книгъ **„Библіотеки Театра и Искусства“** въ которыхъ будутъ помѣщены беллетристика, научно-популярныя, критическія статьи и т. д., около

40 новыхъ репертуарныхъ пьесъ,

„ЭСТРАДА“ сборникъ стихот. разсказ. монолог. и. т. п. съ особой нумер. стран.

Въ 1915 г. »Библіотеткѣ“ будутъ помѣщены, между прочимъ, слѣдующія пьесы: **„Осеннія скрипки“**, И. Сургучева, **„Начало карьеры“** В. Рышкова, **„Уходящіе боги“**, П. П. Гнѣдича, **„Пѣвецъ своей печали“** — О. Дымова, **»Пигмаліонъ“** — Б. Шоу, **„Домъ“** В. Тардова, **„Дѣти грѣха“** В. Евдокимова, **„Невѣсты“** С. Юшкевича, **„Лейтенантъ Фон-Пляшке“** А. куприна и др.

Подписная цѣна на годъ 8 р. допускается разсрочка: 3 р. при подпискѣ, 3 р. 1 апрѣля, и 2 р.—1 іюня Заграницу **12 р. на полгода 4 р. 50 к.** (съ 1 января по 30-ое іюня). Заграницу 7 р.

Иногородніе, желающіе ознакомиться съ журналомъ, получаютъ за семикопѣечную марку текущій № безплатно.

Главная контора ПЕТРОГРАДЪ, Вознесенскій пр. № 4. Тел. 16 - 69

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1915 Г.
на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

VII г. изд. **„РАМПА и ЖИЗНЬ“** VII г. изд.

Подъ редакціей Г. Мунштейна (Lolo)

Театръ — Музыка — Литература. — Живопись — Скульптура.

Подпис. цѣна: годъ 6 р. 50 к., ½ г. 3 р. 50 к., 3 мѣс. 1 р. За гран. вдвое 75 к., 1 мѣс. 60 к. Допускается разсрочка. ▣ Объявлен. впереди текста, 75 к. строка петита, позади текста 50 коп.

Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ:

Галлерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1915 гг. Томъ 1-ый (въ двухъ частяхъ)

СОДЕРЖАНІЕ 1-го ТОМА:

Монографіи, характеристики и біографіи сценическихъ дѣятелей драмы, оперы и балета. Статьи, очерки, воспоминанія, стихи: Александра Амфитеатрова, Юрія Бѣляева, Н. Н. Вильде, Евг. Гунста, В. М. Дорошевича, Александра Койранскаго, С. Кара-Мурза, Як. Львова, Lolo И. Пеняева, кн. А. И. Сумбатова, Ю. Соболева, Н. Е. Эфроса, М. Юрьева, Сергѣя Яблоновскаго. Снимки въ жизни и роляхъ, зарисовки, Шаржи и проч. Репродукціи рѣдкихъ портретовъ и фотографій изъ музеевъ А. А. Бахрушина и В. В. Протопопова. Коллецкіи Н. А. Попова

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, карикатуръ и пр. Собственные корреспонденты во всѣхъ западноевропейскихъ театр. центрахъ **52**

ОТКРЫТА ПОДПИСКА на весенній и лѣтній сезоны съ 1-го марта по 1-го сентября — 3 р. 50 коп., съ преміей — 5 руб.

АДРЕСЪ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. 1. Тел. 2-58-25 ▣ Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 11—4 часовъ дня. ▣ **Подписка принимается:** также въ Москвѣ у **Н. И. Печковской** (Петровскія линіи), въ книжн. маг.: **„Новое время“** (въ Петрог., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. **В. Бесель и К°** (Москва, Петровка, 12), **М. О. Вольфъ** (Москва—Петроградъ) **Л. Идзиковскій** (Кіевъ) и во всѣхъ книжн. магаз. г. Москвы и провинціи. **Можно подписываться по тел. 2-58-25.**

ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ „ᲐᲕᲠᲝᲠᲐ“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (ᲬᲧ)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲚᲓᲐᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲯᲚᲘᲠᲡ 4 Მ.

ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გადაეცა ᲙᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲢᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲐ

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“-Ს

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲥ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲡ

მიხეიდის პროსპექტი, № 18 ფოსტის ყუთი № 21.

ᲛᲔᲛᲚᲐ ᲒᲐᲛᲔᲘᲓᲕᲔᲚᲗ თბილისისა და პროვინციისასა მას უნდა მიმართონ.

ᲕᲐᲠᲘᲡᲙᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲯᲛᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ

ᲑᲐᲜᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ, ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“,

 თბილისი, მიხეილის პროსპექტი № 18.

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА
„ГАНТІАДИ“
ТИФЛИСЪ
ПЕРІОДИЧЕСКІЯ ИЗДАНІЯ

РУССКАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ

Еженедѣльный иллюстрированный журналъ

Изданіе **Т-ва И. Н. Кушнеревъ и К°, Москва**

Подписная цѣна: на годъ 6 руб. на полгода 3 р. 50 коп. на 3 мѣсяца 1 р. 80 к, на 1 мѣс. 65 к. **Подписной годъ считается съ 1 февраля**

Подписка принимается: въ МОСКВѢ: Пименовская, 16 и Николаевская 8; въ ПЕТРОГРАДѢ: Фонтанка, 117; въ КІЕВѢ: Караваевская, 5.

Редакція и контора: Москва, Пименовская, 16, телеф. 3-71-63.

Типографія „Сорапань“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ- ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“